სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზია

ლიცენზიის მაძიებელმა სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის გამცემს უნდა წარუდგინოს:

- ✓ წერილობითი განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი, განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს, მოთხოვნას, განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას, განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში;
- ✓ იგი ასევე უნდა შეიცავდეს მითითებას, თუ საქმიანობის ლიცენზიის რომელი სახის მიღებას მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი, და თანდართული საბუთების ნუსხას;
- ✓ განცხადებას უნდა ერთვოდეს კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები, ხოლო ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები;
- ✓ განცხადებას ასევე უნდა ერთოდეს სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი;
- ✓ განცხადებას უნდა დაერთოს ყველა ის საბუთი, რომლის წარდგენის ვალდებულებაც განმცხადებელს კანონით ეკისრება;
- ✓ განმცხადებელს უფლება აქვს წარუდგინოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ყველა სხვა საბუთი, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

ლიცენზიის მაძიებელმა სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის გამცემს ზემოაღნიშნულთან ერთად ასევე უნდა წარუდგინოს:

ა) სააღმზრდელო პროგრამა. იგი უნდა შეესაბამებოდეს სააღმზრდელო საქმიანობის დამატებით სალიცენზიო პირობებს;

ბ) ინფორმაცია პერსონალის რაოდენობის, პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის, აგრეთვე პერსონალის ძირითადი და დამატებითი სამუშაო ადგილების შესახებ. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარდგენილ ინფორმაციას უნდა ერთოდეს ლიცენზიის მაძიებლის მიერ შესაბამისი საქმიანობისათვის ლიცენზიის მიღების პირობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფორმებული ხელშეკრულებები. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარდგენილი ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს სააღმზრდელო საქმიანობის დამატებით სალიცენზიო პირობებს;

გ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის შესახებ. იგი უნდა შეესაბამებოდეს სააღმზრდელო საქმიანობის დამატებით სალიცენზიო პირობებს;

დ) იმ შენობა-ნაგებობების გეგმა სართულების მიხედვით, სადაც უნდა განხორციელდეს სააღმზრდელო საქმიანობა.

სააღმზრდელო საქმიანობის დამატებითი სალიცენზიო პირობები:

1. ლიცენზიის მაძიებელი/ლიცენზიის მფლობელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) უნდა ჰქონდეს ფართობი. ამ ფართობის არანაკლებ 6 წლის ვადით ფლობის და მისით სარგებლობის უფლება დადასტურებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღნიშნული ფართობის იჯარის/ქირავნობის შემთხვევაში მისი ფლობის და მისით სარგებლობის უფლება დადასტურებული უნდა იყოს საჯარო რეესტრიდან ამონაწერით. ეს ფართობი აღსაზრდელთა რაოდენობის შესაბამისად უნდა მოიცავდეს:

ა.ა) საძინებელ ოთახს (ოთახებს);

ა.ბ) სამზარეულოს/სასადილოს;

ა.გ) ტუალეტს (ტუალეტებს), საშხაპეს (საშხაპეებს), პირსაბანს (პირსაბნებს);

ბ) უნდა ჰქონდეს აღსაზრდელთა ასაკის შესაბამისი სააღმზრდელო, საგანმანათლებლო, საინფორმაციო და შემეცნებითი დანიშნულების ნივთები;

გ) უნდა ჰქონდეს აღსაზრდელთა საჭიროების შესაბამისი საძინებელი ინვენტარი;

დ) უნდა ჰქონდეს აღსაზრდელთა ერთდროულად კვებისათვის საკმარისი სასადილო ფართობი და შესაბამისი ინდივიდუალური ინვენტარი;

ე) უნდა ჰქონდეს თავისუფალი ორიენტაციისა და გადაადგილების პირობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აღსაზრდელთათვის;

ვ) უნდა აკმაყოფილებდეს ბავშვზე ზრუნვის სტანდარტებს.

2. ის შენობა-ნაგებობანი, სადაც უნდა განხორციელდეს სააღმზრდელო საქმიანობა, უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სანიტარიულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს.

„სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზიისთვის დადგენილი სალიცენზიო მოსაკრებელი განსაზღვრულია 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

ნორმატიული აქტები

- ✓ „საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ https://matsne.gov.ge/document/view/26824?publication=111
- ✓ საქართველოს კანონი "სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ" https://matsne.gov.ge/ka/document/view/3307127?publication=6
- ✓ „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონი https://matsne.gov.ge/document/view/12880?publication=86